## მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 18

სოფ. ბერბუკი 1 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ბერბუკის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ამალია საური-საბანაძის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ რობერტი ელოშვილი (პ/ნ 59001090505) , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი რობერტი ელოშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანია: სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა (CPV: 60171000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს დარიცხული 75 (სამოცდათხუთმეტ) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20(ოცი) კალენდარულ დღის განმავლობაში საბანკო პირად აგარიშზე გადარიცხვით.

**მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა**

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - გორის რ-ნი,სოფ.ბერბუკი

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან ათი დღის ვადაში.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- საკუთარი ტრანსპორტით მომსახურება.სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი-HIH 164

  **მარშუტი: ზერბუკი- თბილისი- ზერბუკი.**

**მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ზერბუკის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ამალია საური-საზანაძე.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

**მუხლი 7. პირგასამტეხლო**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 8. ფორსმაჟორი**

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების

მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 12. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

**მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ - ბერბუკის საჯარო სკოლა<br>ს/კ 218049154<br>მის: გორის რ-ნი, სოფ. ბერბუკი<br>ტელ: 577 094 780 | ფ/პ რობერტი ელოშვილი<br>პ/ნ 59001090505<br>მისამართი: გორის რ-ნი, სოფ. სვენეთი.<br>ტელ. 599 18 45 47 |
| საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა GE98LB0121140516411000 | საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს ,,ბაზისბანკი“<br>ბანკის კოდი CBASGE22<br>**ა/ა GE 33 BS00 0000 0000 1362 42** |
| **დირექტორი:** ამალია საური-საზანაძე<br>-----------------------------------------------<br>(ხელმოწერა) ბ.ა | **რობერტი ელოშვილი**<br>-----------------------------------------------<br>(ხელმოწერა) |

მიღება-ჩაბარების აქტი 1 ნოემბერი 2019 წელი

( საქონლის მიწოდების, გაწეული მომსახურების,სამუშაოს შესრულების)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის საჯარო სკოლასა და ი/მ რობერტ ელოშვილს შორის 2019 წლი 1 ნოემბრის N 18-ით გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ „შემსყიდველი"საჯარო სამართლის იურიდიული პირი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის საჯარო სკოლა, მისი წარმომადგენლის ამალია საური-საბანაძის სახით და მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი"მისი წარმომადგენლის რობერტ ელოშვილის სახით ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ
(მიწოდებულია საქონელი, გაწეულია მომსახურება, შესრულებულია სამუშაოები)
ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში
საქონლის დასახელება: ტრანსპორტით მომსახურება
2019 წლის 1 ნოემბრის N 18 ხელშეკრულებების პირობების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 75 (სამოცდათხუთმეტ) ლარს. (მიწოდებული საქონელი, გაწეული მომსახურება, შესრულებული სამუშაო)

გაწეულმა მომსახურებამ ჯამში შეადგინა 75 (სამოცდასამი) ლარი.

ასანაზღაურებელია 60 (სამოცი) ლარი.

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| საჯარო სამართლის იურიდიული პირი | ი/მ რობერტ ელოშვილი |
| სსიპ ბერბუკის საჯარო სკოლა | საიდენტიფიკაციო კოდი: 59001090505 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 218049154 | მისამართი: გორი, სოფ სვენეთი |
| მისამართი: გორი, სოფ. ბერბუკი | ტელეფონი: 599 18 45 47 |
| ტელეფონი: 577 094 480 | საბანკო რეკვიზიტები: |
| საბანკო რეკვიზიტები | სს „ბაზისბანკი" |
| სს „ლიბერთი ბანკი | ბანკის კოდი: CBASGE22 |
| ბანკის კოდი: LBRTGE2 | ანგ. N GE 33 BS00 0000 0000 1362 42 |
| ანგ. N GE 98 LB 0121 1405 1641 1000 | |
| | ხელმძღვანელი: |
| დირექტორის მ/შ: | |